ოქმი:**ო65. 6524088001**
თარიღი:**28/03/2024**

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი

სხდომის ოქმი N 3

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 22.03. 2024 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე **- ალექსანდრე ლილუაშვილი.**

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი: ალექსანდრე ლილუაშვილი, შოთა გიორგაძე, გრიგოლ მატარაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, რამაზ არველაძე, კობა ტოხვაძე, გელა ჩიკვაიძე, ლია დიასამიძე, სანდრო ხურციძე, ლანა გოგოძე, ილია დვალიშვილი, გიორგი ტყეშელაშვილი, შალვა ლორთქიფანიძე, მალხაზ ცერცვაძე, თეონა ადეიშვილი, თამარ შენგელია, ალექსანდრე მჟავანაძე, ნატო დვალი, ლიზა ტყეშელაშვილი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გიორგი ივანიაძე, დავით ხარძეიშვილი, გელა ღვიტიძე, გელა ვარდოსანიძე, ბიჭიკო პაიკიძე, ივანე კორძაძე, მაკა ზარნაძე, თორნიკე ერისთავი, დავით კაკაბაძე, ნატო დვალი, კობა ძაგნიძე.

(დანართი: N1)

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის უფროსი-**ტარიელ ბარამიძე.**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი **- ლუიზა ჯოგლიძე.**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში **- ლუბა გოგოძე.**

მოწვეული სტუმრები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი - **ზვიად კაპანაძე;**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი **- მამუკა ნამიჭეიშვილი.**

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 14 ^{00} საათზე გახსნილად აცხადებს .

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ;

მომხს: ***გელა ჩიკვაიძე***

2. ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის და საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის შესახებ;

მომხს: ***ზვიად კაპანაძე***

3. „ვანის მუნიციპალიტეტში 2024 წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 14 თებერვლის N g-65.65240452 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხს: ***მამუკა ნამიჭეიშვილი***

წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტისადმი შენიშვნები არ გამოთქმულა. ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 19

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, 2024 წლის თებერვლის თვის ხარჯების ანაზღაურების შესახებ“;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N27 დადგენილების შესაბამისად და ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის 2024 წლის 1 მარტის N65-65240613 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრ არათანამდებობის პირებს ხარჯების ანაზღაურებისთვის ჩაერიცხოთ თითოეულს 817 (რვაასჩვიდმეტი) ლარი, რაც ჯამში შეადგენს 8170 (რვაათასასსამოცდაათ)

ლარს.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 19

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი ,, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, 2024 წლის თებერვლის თვის ხარჯების ანაზღაურების შესახებ“;

განკარგულება N გ-65.6524082001

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა ,,ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის და საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის შესახებ;“

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს წარმოუდგინა საპრივატიზებო ობიექტთა სია საწყისი ფასებით:

1. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ტობანიერში მდებარე 279 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.04.24.455), საწყისი საპრივატიზებო საფასური 4165 (ოთხი ათას ას სამოცდახუთი) ლარი;

2. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ტობანიერში მდებარე 106 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.04.24.454), საწყისი საპრივატიზებო საფასური 1590 (ათას ხუთას ოთხმოცდაათი) ლარი;

3. ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩის მიმდებარედ არსებული 36 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (31.01.26.721), საწყისი საპრივატიზებო საფასური 1000 (ათასი) ლარი;

4. ქ. ვანში, გ. ტაბიძის ქუჩის მიმდებარედ არსებული 400 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (31.01.23.436), საწყისი საპრივატიზებო საფასური 10000 (ათი ათასი) ლარი;

5. ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე 26 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (31.01.26.723), საწყისი საპრივატიზებო საფასური 800 (რვაასი) ლარი;

6. ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე 32 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (31.01.26.726), საწყისი საპრივატიზებო საფასური 1000 (ათასი) ლარი;

7. ქ. ვანში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე 65 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.01.25.386), საწყისი საპრივატიზებო საფასური 2000 (ორი ათასი) ლარი;

8. ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე 65 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.01.22.583), საწყისი საპრივატიზებო საფასური 2000 (ორი ათასი) ლარი;

9. ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩაზე N 31.01.26.536 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული შენობა-ნაგებობა (დემონტაჟი), საწყისი საპრივატიზებო საფასური 3000 (სამი ათასი) ლარი;

10. ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ექსპლუატაციისთვის გამოსაყენებლად უვარგისი 275 (ორას სამოცდათხუთმეტი) ერთეული ინვენტარი (დანართი N1-ის შესაბამისად), საწყისი საპრივატიზებო საფასური 500 (ხუთასი) ლარი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის

თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 19

წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის და საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის შესახებ;“

განკარგულება N გ-65.65240822

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მამუკა ნამიჭეიშვილმა წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტში 2024 წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 14 თებერვლის N გ-65.65240452 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა არნიშნა, რომ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის ჩართულობით ზედავანის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ. ტყელვანში შერჩეული პროექტის-სასაფლაოს ეზოში შენობის მოწყობის განხორციელებისთვის გადაწყდა „მასალების შეძენა“, პროექტი მოსახლეობის პირადი შრომით უნდა განხორციელებულიყო. მოსახლეობის მიერ მოძეული იქნა სხვადასხვა სამშენებლო მასალა. აღნიშნულის შედეგად მასალების შეძენის თანხის ეკონომიით გადაწყვიტეს ორ უბანში გარე განათების მოწყობა. გამომდინარე აღნიშნულიდან საჭირო შეიქმნა ცვლილების შეტანა სოფლის მიერ დასახელებულ პროექტში და გაიმიჯნა ორ პროექტად: „სასაფლაოს ეზოში შენობის მოსაწყობად „მასალების შეძენა“-3100 ლარი და ორ უბანში გარე განათების მოწყობა“- 8900 ლარი, ცვლილება შეხო საკრებულოს მიერ დამტკიცებული სოფლის პროგრამის N31 სტრიქონს. ახალ ჩამონათვალს დაემატა ახალი პროექტი N32 სრიქონში.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 16

წინააღმდეგი – 3 (ალექსანდრე მჟავანაძე, ლიზა ტყეშელაშვილი, გია მატარაძე)

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 14 თებერვლის N გ-65.65240452 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

განკარგულება N გ-65.65240823

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი